პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

8 სექტემბერი
ხ უ თ შ ა ბ ა თ ი

1917. სამხედრო დიქტატურის დამყარების მიზნით, კორნილოვმა, დრ. მთავრობასთან შეთანხმებით, გაილაშქრა პეტროგრადის წინააღმდეგ. საბჭოების ფხიზელი მოქმედებით ამბოხება ჩაქრობილ იქნა.

1879. „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიის აღმ. კომიტეტის სხდომაზე გამოტანილ იქნა ალექსანდრე II-ს სასიკვდილო განაჩენი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დ ღ ი უ რ ი

— ლონდონში მოხდა დიდი არეულობა, უმუშევართათვის მთავრობის მიერ დახმარების [illegible].

— 6 სექტემბერს ვენაში გაიხსნა [illegible] ერთაშორისო კონგრესი.

— ინდოეთსა და ირლანდიაში ინგლისის წინააღმდეგ მოძრაობა გრძელდება და უფრო ფართოვდება.

№ 155 ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 1921 წ. ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 1921 წ. № 155

პარტიის გაწმენდისათვის

ჩვენ მოვათავსეთ გუშინ ჩვენ გაზეთში რ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მოწოდება ყველა ორგანიზაციებისადმი კავკასიაში პარტიის გაწმენდის შესახებ. ეს ერთი ხანია, ამ მხრივ გადადგმულია ენერგიული ნაბიჯები და წარმოებს მუშაობა ამ მიზნისათვის სპეციალური გამოყოფილი კავკასიის საოლქო კომისიისა. კითხვა ეხება იმას, მოახერხებს თუ არა პარტია, შედუღებულ-შეკავშირებული ხანგრძლივი, თავგანწირული, მძიმე ბრძოლის პროცესში, განსწმინდოს თავის რიგები და ჩამოიშოროს სოციალ-პოლიტიკურათ მისთვის უცხო ელემენტები, რომლებიც მიეტმასნენ მას სხვადასხვა მხრიდან, ბორკავენ მის შემოქმედებით ენერგიას და ლამობენ დემორალიზაცია შეიტანონ მის ორგანიზაციაში. ამ ელემენტების გავლენის საფრთხე აშკარათ წამოიჭრა ჩვენ წინ განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ჩვენში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება და პარტიამ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმე. ეს, რასაკვირველია, გასაგებიც არის. მეფისა და მენშევიკური რეაქციის დროს, როდესაც პარტიას უხდებოდა ფარული მუშაობა და ჩვენი ამხანაგები განიცდიდენ სასტიკ დევნას, როდესაც ციხეების „ქვის ტომრები" ყოველ წამს მზათ იყვნენ მათ მისაღებათ თავის ჯურღმულებში, მაშინ ეს ავანტიურისტები უკეთეს შემთხვევაში შიშითა და ძრწოლით გვიყურებდენ და გვარიანად დიდ მანძილზე გვივლიდენ. სულ სხვანაირი მდგომარეობა შეიქნა მათთვის მას შემდეგ რაც პარტია გამოვიდა თავისუფალ სამოქმედო ასპარეზზე და ქვეყნის მმართველი გახდა. ერთბაშათ შეიქნა არაჩვეულებრივი ლტოლვა პარტიისაკენ და ყოვლის მომხვეჭელ საეჭვო ელემენტებმა, ყველა შკურნიკებმა, კარიერისტებმა და საეჭვო პოლიტიკური მიზნებით ამოძრავებულებმა მოხერხებულათ ისარგებლეს ამ საერთო ხმაურობით, შეცვივდენ ამნაირათ ჩვენ ორგანიზაციებში. პარტიისათვის უცხო ელემენტების შემოსვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც რომ ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენილობის გამო, ჩვენში თითქმის არ მოიპოვება სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივ სოციალურ ბაზას კომუნისტური პარტიისას. ასეთი ელემენტებისაგან არ არის დაზღვეული არც ერთი კომუნისტური პარტია, მაგრამ მათი გავლენის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას დღეს იმ ქვეყნებში, სადაც კომუნისტები განაგებენ სახელმწიფოს სვე-ბედს. ეს კითხვა დაისვა რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობაზე და ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო ენერგიული კამპანია პარტიის გაწმენდაზე, მის გაჯანსაღებაზე და განმტკიცებაზე. საჭიროა ეს მუშაობა შეუჩერებლათ ჩატარდეს ჩვენშიაც, რომ ორგანიზაციებიდან ამოვწიწკნოთ იქ ჩაჩრილი კარიერისტები, დისციპლინის დამრღვევნი, ნაციონალისტურათ განწყობილნი და ყველა არა სანდო საეჭვო ელემენტები.

ერთ გარემოებას საჭიროა გაესვას ხაზი განსაკუთრებით პროვინციელ ამხანაგების საყურადღებოთ, რომლებიც ზოგი ადგილობრივი ორგანიზაციის სისუსტის გამო ზომაზე გადამეტებულ სიფრთხილეს იჩენენ ამ მხრივ. ჩვენ არ უნდა შეგვაჩეროს იმ გარემოებამ, რომ გაწმენდის კამპანია შეამცირებს პარტიის წევრთა რიცხვს. არა მაინცა და მაინც რაოდენობა პარტიის შემადგენელი წევრებისა უნდა შეადგენდეს ჩვენი ყურადღების ცენტრს, არამედ ხარისხი ორგანიზაციის შემადგენლობის, მისი ბრძოლის უნარი და ორგანიზაციული სიმტკიცე, რაც ერთად ერთი პირობაა ჩვენი პოლიტიკური ხაზის შეურყევლათ წარმოების და საბოლოო გამარჯვების. ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს ადგილობრივ, მთელი თავისი ენერგიით ხელი შეუწყონ კავკასიის საოლქო კომისიის მიერ დაწყებულ კამპანიის წარმატებით ჩატარებას ჩვენ ორგანიზაციებში, რომ პარტია გამოვიდეს გამარჯვებული მიმდინარე მძიმე ბრძოლიდან.

ეროვნული პოლიტიკა თუ კლასობრივი?

კარგა ხანია ჩვენგან ჩვენი ნაციონალისტები „ეროვნული პოლიტიკის" წარმოებას მოითხოვენ. მათი აზრით ეროვნული პოლიტიკა თუ არა, სხვა ვერაფერი გვიხსნის მენშევიკურ რესტავრაციისაგან.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიზმი ათეული წლების განმავლობაში ასხამდა შხამს ჩვენ მშრომელ ხალხს და შესძლო კიდეც მან ჩვენი ხალხის სულის ამ წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიით გაჟღენთა. ისიც ვიცით, თუ რა ძნელია მისი აღმოფხვრა, მისი გაქარწყლება.

მაგრამ ეს გარემოება სრულიაც არ გვიკარნახებს ჩვენ, რომ ამისთვის „ეროვნული პოლიტიკა" ვაწარმოოთ.

მართალია, როცა ნაციონალისტები „ეროვნულ პოლიტიკაზე" გვითითებენ, ამით ისინი დაჩაგრულ ერის პოლიტიკას ჰგულისხმობენ და არა „მპყრობელი ერისას", მაგრამ პოლიტიკა მაინც პოლიტიკაა და ის არსებითად კლასობრივი ხასიათისაა და არა ეროვნულის.

ყველამ ვიცით, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს თავისი პოლიტიკა მუდამ ეროვნული სახელით გამოაქვთ და ისინი ხალხის სახელს მუდამ ფიცულობენ, მაგრამ, როგორც კი მათ პოლიტიკას კლასობრივი თვალსაზრისით ვარკვევთ და დაუზოგველ ანალიზს ვუკეთებთ, აშკარავდება, რომ მათი ეროვნული ხალხური პოლიტიკა იგივე კლასობრივი ბურჟუაზიული პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

კარგათ ვიცით ისიც, რომ მენშევიკებს თავისი პოლიტიკა ერთხანს მუშათა კლასის პოლიტიკათ გამოჰქონდათ და როცა დაატყვეს, რომ პოზიცია ხელიდან ეცლებოდათ, მათ ეროვნული საბურველიც მოიშველიეს და ასე ამნაირად სამი წლის განმავლობაში ისევ შესძლეს ჩვენი ხალხის პოლიტიკური საქმე ხელში ჰქონოდათ. ამას თვით ჩვენი მემარცხენე ნაციონალისტებიც აღიარებენ.

პოლიტიკა სახელით კი არ იცნობა, არამედ იმ შინაარსით, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ კლასის ისტორიულ ინტერესებს გამოხატავს.

მენშევიკებისათვის რომ გკითხათ, ისინი გეტყოდენ, რომ აწარმოებენ როგორც კლასობრივ ისე ეროვნულ პოლიტიკას. მაგრამ განა დასაჯერებელია, რომ ერთდაიმავე დროს ორი მოწინააღმდეგე კლასის ინტერესები დაიცვა? ეს ხომ ერთდაიმავე დროს ღვთისა და ეშმაკის სამსახური იქნებოდა.

მენშევიკებმა სცადეს ასეთი სამსახური ჩვენში 1918 წლის 26 მაისიდან, როცა მათ თავისი პოლიტიკა ეროვნულ პოლიტიკათ გამოაცხადეს და რამდენადაც მათი პოლიტიკა მართლაც ეროვნული იყო, ე. ი. წვრილბურჟუაზიული, ამიტომ ნაციონალისტებზედაც გავლენა მოიპოვეს და წვრილ ბურჟუაზიულ მასებზედაც. ეს მათი ბუნების შესაფერი იყო, ისინი ამით ლოღიკაში დარჩნენ და ამით ისინი თავიანთ პოზიციაზე უფრო გამაგრდენ.

ამასვე გვირჩევენ ჩვენც დღეს ჩვენი მემარცხენე ნაციონალისტები, მაგრამ მათ ავიწყდებათ ერთი მთავარი განსხვავება, რომელიც ჩვენსა და მენშევიკებ შორის არსებობს. სახელდობრ ის,—რომ ჩვენ მუდამ ვემყარებოდით და ახლაც ვემყარებით მხოლოდ კლასობრივ ბრძოლას და რომ მუშათა კლასის იდეოლოგია ეს მხოლოდ ჩვენი იდეოლოგიაა. რომ მხოლოდ ჩვენ ვართ მუშათა კლასის ჭეშმარიტი იდეოლოგები, ეს სხვათა შორის იმით მტკიცდება, რომ ჩვენ ვაწარმოებთ მუდამ კლასობრივ პოლიტიკას და არასოდეს არ ვურევთ მას ეროვნულ პოლიტიკაში, რაც ჩაიდინეს მენშევიკებმა.

პოლიტიკა საზოგადოთ მხოლოდ კლასობრივია და არ შეიძლება ის იყოს „ეროვნული", ვინაიდან ის უმთავრესათ ეყრდნობა კლასებს, კლასთა შორის ბრძოლას და არა ერებს და ერთაშორის ბრძოლას.

მართალია არსებობს ეროვნული ბრძოლაც, მაგრამ ამას არ ძალუძს შექმნას ერთი მთლიანი განსაკუთრებული პოლიტიკა; ის ყოველთვის დამოკიდებულია იმ კლასის პოლიტიკაზე, რომელიც სახელმწიფოს მმართავს და განაგებს.

როცა რუსეთს ბურჟუაზია განაგებდა, მაშინ ეროვნული პოლიტიკაც იმპერიალისტურ-რუსიფიკატორული იყო, თუმცა ადგილობრივ ეროვნული სახით, ხოლო როცა რუსეთში მუშათა კლასმა გლეხკაცობასთან შეკავშირებით გაიმარჯვა და სახელმწიფოს სათავეში მოექცა, მაშინ კი ეროვნულმა პოლიტიკამ სულ სხვა სახე და შინაარსი მიიღო. ამ ორი ხანის ეროვნული პოლიტიკაც ერთიმეორისაგან ისე განსხვავდება, როგორც ბურჟუაზია მუშათა კლასისაგან. რითი განსხვავდება მერე ერთი მეორისგან ეს კლასები?

პირველი მჩაგვრელი, ხოლო მეორე გაყვლეფილი. აი რაშია მთავარი განსხვავება. აქედან პირველის მთავარი მისწრაფებაა, როცა მას ერთან აქვს საქმე, გაყვლიფოს ეს ერი სულიან-ხორციანათ, ხოლო რაც შეეხება მუშათა კლასს, არას გზით არ შეიძლება მას ამის მსგავსი რამ მიაწეროთ. მუშათა კლასი მხოლოდ შრომას და თავის მარჯვენას ემყარება და ყველასაგან, მაშასადამე ერისაგან მხოლოდ ამასვე მოითხოვს. ის არ ჩაგრავს არავის, მაშასადამე მას არ შეუძლია ერი დაჩაგროს. დაჩაგრულებს კი ის მხოლოდ ანთავისუფლებს. აი ეს იქნება ის, მაგალითად, დაჩაგრულ სქესის მიმართ, ქალების მიმართ და მოიქცევა ყველა დაჩაგრულების მიმართაც. და თუ დღეს სადმე ჩვენს ცხოვრებაში ისეთ ფაქტებსაც აქვს ადგილი, რომლებიც ძველ „რუსიფიკატორულ პოლიტიკას" გვაგონებენ, ეს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკიდან, სრულიად არ გამომდინარეობს, არამედ ეს არის მხოლოდ ძველი პოლიტიკის „ნაშთები", რომლების აღმოფხვრა მხოლოდ დროის საქმეა. სწორედ ასევე დროის საქმეა, რომ გაქარწყლდეს და აღმოიფხვრას ჩვენი ხალხის ფსიხოლოგია-აზროვნებიდან ის მრავალი და ძლიერი ნაშთები, რომლებიც მენშევიზმმაც და საერთოთ ყოველი ჯურის ნაციონალიზმმა ჩვენ დაგვიტოვა. მაგრამ ამის წამალი და საშუალება მხოლოთ ერთად ერთია: ეს არის კლასობრივი პოლიტიკის შეურყევლათ და მტკიცეთ წარმოება და არა მენშევიკებსავით მისი ეროვნულ პოლიტიკაში არევა.

ეროვნული საკითხი ჩვენთვის ერთი მთავარ საკითხთაგანია, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში მხოლოთ საკითხია და არა ერთი მთლიანი პოლიტიკა. ამიტომ ეს ჩვენ მიერ განხილულ უნდა იქნას ჩვენი მთლიანი კლასობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით და არა პირუკუღმა, როგორც ეს ჩვენს მემარცხენე ნაციონალისტებს სურთ.

რ. ქ.

ილიკო მგელაძე

ჩვენს პარტიას კიდევ გამოაკლდა ერთი ძველი მუშაკი და ბრძოლაში გამოწრთობილი რევოლიუციონერი.

ამ თვის 6 ს, საღამოს 7 საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი და დაუღალავი ამხანაგი ილიკო მგელაძე, რომელსაც ფართო მასა ქორიძლის სახელწოდებით იცნობდა.

ამხ. ილიკო მგელაძის დაკარგვა დღევანდელ დროს მეტად მძიმე დანაკლისია როგორც პარტიისთვის, ისე საბჭოთა ხელისუფლებისთვის საქართველოში. ილიკო ეკუთვნოდა ისეთ მოღვაწეთა კატეგორიას, რომელთაც საქმე უყვართ და არა სიტყვა. მას იტაცებდა მხოლოდ საქმე, პრაქტიკა. მას იტაცებდა მუშაობა ყველა პირობებში, როგორც არალეგალურ დროს, ისე ჩვენი ლეგალური არსებობის დროს. ის მუშაობდა თავდავიწყებამდის, მას სხვა არაფერი ახსოვდა გარდა საქმის სამსახურისა და სწორედ ამიტომ ასე უდროოვოდ გამოესალმა ის სიცოცხლეს. მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ აღარ დასცალდა. ის მოკვდა თავის პოსტზე, როგორც რევოლიუციონერი და ერთგული დარაჯი მუშათა კლასის ინტერესებისა.

ილიკო გარდაიცვალა 46 წლის. მე რამდენათაც ვიცი, რევოლიუციონურ მოძრაობაში ის ჩაება 1904—5 წლებში გურიაში, და იმ თავითვე გამოიჩინა თავი თავისი ენერგიით და გამჭრიახობით. მაშინ ის ირიცხებოდა მენშევიკების ბანაკში, სადაც მას მჭიდრო და ახლო კავშირი ქონდა იმ ხანებში მენშევიკების ლიდერებთან. ამიტომ ილიკომ კარგათ იცოდა მენშევიკების ლიდერების ბევრი რამ „შინაური" ამბები. და როცა 1919 წლის ოქტომბერში მენშევიკების მთავრობამ ის შეიპყრო თფილისში უკვე როგორც ბოლშევიკი, ცნობილმა ჯალათმა ნ. რამიშვილმა მოინდომა „უჩრეჟდილკაში" ილიკოსთვის ჩირქის მოცხება, მას ჯაშუშობაც კი უწოდა, მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწია. ილიკომ მაშინ მოინდომა რამიშვილებისთვის ნიღაბის ჩამოხდა ფაქტების საშუალებით და მათი მართლაც რომ ყაჩაღური ფიზიონომიის გამომჟღავნება. სამწუხაროთ მაშინ არ მოახერხდა.

1906 წლების შემდეგ ილიკო ჯერ ბაქოში გადავიდა, შემდეგ რუსეთში მოხვდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამის შემდეგ ჩქარა გახდა ბოლშევიკი, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა იმ ხანებში აშკარა შეიქნა მენშევიკების ლიკვიდატორობა და რევოლიუციის ღალატი. აქედან დაწყებული ვიდრე 1918 წლის დამლევამდე ილიკოს შესახებ მე არაფერი ვიცოდი. 1918 წლის დეკემბერში მე შევხვდი მას ბაქოში და მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ილიკო უკვე დიდი ხნის გაბოლშევიკებულიყო და 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიაში როგორც საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელი მუშაკი. 1919 წლის დასაწყისში დროებით დამარცხების შემდეგ ამხ. ილიკო სხვებთან ერთად გადმოვიდა საქართველოში. ჩემთვის სამუდამოთ დაუვიწყარი იქნება 1919 წლის განმავლობაში ჩვენი მუშაობა საქართველოში და საზოგადოთ მთელ ამიერკავკასიაში. ეს იყო მთელი აღფრთოვანება, რისაც ასულდგმულებდა ფანატიკური რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისადმი. ილიკოს აქ ეჭირა არა თუ საპატიო, არამედ ფრიად საპასუხისმგებლო და იმავე დროს მეტათ სახიფათო ადგილი. ის იყო უშიშარი და შეუდრეკელი, როგორც რკინა ის იყო ერთი და იმავე დროს თბილისის კომიტეტის წევრი, საგუბერნიო კომიტეტის წევრი და ფაქტიური თავმჯდომარე, ის იყო იმავე დროს თფილისის გარნიზონის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მას ქონდა დამსახურებული განუსაზღვრელი ნდობა როგორც გლეხებში, ისე ჯარისკაცებში, რომლებიც მას პირდაპირ ეთაყვანებოდენ. რამდენათ პოპულარული იყო ილიკოს სახელი გლეხკაცობაში, ეს ჩანს სხვათა შორის იქიდანაც, რომ ამას წინეზე თელავის სამაზრო კონფერენციაზე მისი არჩევა კომიტეტში ერთხმათ მოინდომეს, მაგრამ შეუძლებელი იყო.

ბევრი სისხლი გაუშრო ილიკომ 1919 წელს მენშევიკების მთავრობას, მაგრამ ბოლოს ის მაინც ჩაუვარდა ხელში ჯალათ-რამიშვილებს. იმათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, და ამის საფუძველიც ქონდათ: ილიკოს დაჭერამ მაშინ შეაფერხა ჩვენი გამოსვლა... ძნელია ახლა იმის თქმა თუ რა მოყვებოდა ამ გამოსვლას, მაგრამ საქმე ამაში არაა.

ილიკო გამოვიდა ციხიდან 1920 წლის მაისის თვეში ეგრედ წოდებული „ლეგალიზაციის" შემდეგ, და ის მაშინვე გადმოვიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ის ავათმყოფი დაეწაფა აღმშენებლობას როგორც პარტიაში, ისე საბჭოთა ორგანოებში. მაგრამ ამ მუშაობის შესახებ დეე სხვებმა სთქვან, ვინც მასთან იმ დროს ახლო იყვენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში, ილიკო გამოეშურა ისევ საქართველოში და მყისვე შეუდგა მუშაობას. ის დანიშნული იქნა თფილისის მაზრის რევკომის თავმჯდომარეთ და იმავე დროს თფილისის სამაზრო პარტკომის წევრათ. ამ საპასუხისმგებლო პოსტებზე დარჩა ის უკანასკნელ წუთამდე. თუ რა ნაყოფი გამოიღო მან აქ, ეს დამოწმებული იქნა ამას წინეთ საქართველოს რევკომის სხდომაზე, სადაც შინაგან საქმეთა კომისარმა განაცხადა, რომ თუ არის საქართველოში მაზრა, სადაც საბჭოთა აღმშენებლობა სასურველათ მიმდინარეობს ეს თფილისის მაზრაა, და ამაში ის არ ცდებოდა. ილიკოს არც დღე და არც ღამე მოსვენება არ ქონებია, ის ნამდვილი მამასავით ევლებოდა მთელ თავის მაზრას და სიყვარულით უვლიდა მას. არ დარჩენილა სოფელი მთელ მაზრაში, სადაც ის რამდენიმეჯერ არ ყოფილიყოს ამ მცირე ხნის განმავლობაში. მან შესწირა თავის სიცოცხლე მუშა ხალხს, და ეს მუშა ხალხი მას არ დაივიწყებს.

მის დასახასიათებლათ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აქ შემდეგი გარემოება: უკანასკნელ დღეებში, როცა მისმა ავადმყოფობამ მიიღო უკვე საბედისწერო ხასიათი, მას აბოდებდა, მას აწუხებდა მუშა ხალხის საქმე, ის ბოდავდა განუწყვეტლივ კრებებზე, მუშებზე, გლეხებზე და ხშირათ წამოიძახებდა: „მიეცით გლეხებს, ნუ შეაწუხებთ მათ"!

არ შემიძლია არ მოვიხსენიო აქ ისიც, რომ ილიკოს ყავდა არა კეთილმსურველნი.

იყვენ ისეთები, რომლებსაც არ სწამდათ ილიკოს თავდადებული მუშაობა, რომლებიც ცდილობდენ მის გაშავებას. მაგრამ სიმართლე და ჭეშმარიტება არასოდეს არ დაიმალება. ილიკო შორს იდგა ყველა ამ ჭორებიდან და ინტრიგებიდან. ის მხოლოდ წუხდა და თავის ნაღველს გულში იკლავდა. მაგრამ მშრომელი ხალხი დააფასებს ერთსაც და მეორესაც. ამ სიტყვებს რომ ვსწერ, მე კიდევ არ მჯერა, რომ ჩვენი ილიკო აღარა გვყავს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს სინამდვილეა; ვიფიქრებ, რომ შენისთანები ჩვენ პარტიას გამრავლებოდეს.

მშვიდობით ძვირფასო ძმაო და მეგობარო ილიკო! შენს ღვაწლს, შენს ამაგს, შენს თავგანწირულ მუშაობას არ დაივიწყებს მშრომელი ხალხი.

ფ. მახარაძე.

7 სექტემბერი.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

ბათომი 3 ენკენისთვე (დეპეშით) გემმა „დიმიტრიომ" სერბიის ბაირაღით მოიტანა სტამბოლიდან 1,120 ტონი სხვა და სხვა საქონელი. წავიდა ქერჩში 15,000 ფუთი სხვა საქონლით დატვირთული გემი „ვოზროჟდენიე". წავიდა სტამბოლში გემი „ჯორჯია" და წაიღო 42,000 ფუთი საქონელი, გემი „კარმენა" კი უსაქონლოთ წავიდა და წაიყვანა მგზავრები. კერძო თაოსნობით, ზემო აჭარისა და ბათომს შუა ეწყობა ეტლებით მგზავრთა მიმოსვლა. ბათომის მიდამოებში კეთდება პირველი გასუფთავებული წყალსადენი ბამბუკის მილებით. გამოირკვა რომ ფორთოხლის მოსავალი უმნიშვნელო იქნება. იუსტიციის განყოფილებასთან ფიცულების დამცველთა კოლეგია მოსპობილია, სამაგიეროდ დაწესდა სექცია უფასო იურიდიული დახმარებისა და არსებობის შედგენისა. სანაპირო მუშები ჩარიცხულ არიან სახელმწიფო მუშათა რიცხვში, განთავისუფლებულ არიან ყოველნაირ გადასახადისაგან და იყოფებიან ერთნაირ პირობებში საბჭოთა მოსამსახურეებთან. სახალხო განათლების განყოფილებასთან იხსნება კურსები ბავშვთა ბაღების ხელმძღვანელ ქალთა მოსამზადებლათ.

ბათომი, 5 ენკენისთვე (ტელ.). თამბაქოს ქარხანა „ლოსაველით"-ში მასალის უქონლობის გამო მოსამსახურეების რიცხვს ამცირებენ. მეჯლისისა და აჭარის ლატაკთა კომიტეტს შუა მიღწეულია სრული შეთანხმება. 2 ენკენისთვეს ბათომში შესდგა იქ მცხოვრებ აჭარელთა დიდებული მიტინგი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ლატაკთა კომიტეტის შენობასთან მანიფესტაცია გაემგზავრა რევკომისაკენ, სადაც ამხ. ლამბაროვმა ნათლად აუხსნა და გააცნო მათ ეხლანდელი მომენტი. დელეგაციამ ითხოვა გადაეცეს საქართველოს რევკომს, ჩქარა დანიშნოს არჩევნები და მალე მოიწვიოს საბჭოთა ყრილობები, დროებით მართველობა მხარეში მიენდოს ახალ რევკომს შედგენილს ლატაკთა კომიტეტის და ქალაქის პროლეტარიატის წარმომადგენლებთაგან.

სამს და ოთხ ენკენისთვეს ბათომის ნავთსადგურში მოვიდნენ: იტალიის გემი „კარინტია" სტამბოლიდან 265 ტონი სხვა და სხვა საქონლით და 100 მგზავრით: ოსმალეთის ნაპირიდან 1 მოტორიანი გემი შავი ზღვის სანაპიროდან 1 მოტორი დატვირთული 869 ფუთი თამბაქოთი. სტამბოლში წავიდა გემი „რიჩტილი" დატვირთული 37 000 ფუთი ნავთით. ოსმალეთის სანაპიროსკენ წავიდა 1 მოტორიანი გემი და 2 ფელუგა დატვირთული მარილით და ბენზინით.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეათე (30 ივნისი)

ამხ. რადეკის მოხსენება

(დასასრული იხ. „კომ." № 153).

გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია დაარსდა სპარტაკის კავშირისაგან, რომელიც ხელმძღვანელობდა რევოლიუციონურ პროლეტარიატის პირველ მოძრაობას. ნოემბრის რევოლიუციამ დაბოლავა ფაქტიურად ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომლის შემდეგ დადგა გერმანიის პერიოდი მომავალი ბრძოლებისათვის. პარტია შესდგებოდა რამდენიმე ათეულ ათას მუშებისაგან და მისი უმთავრესი ამოცანა იყო—არ დაექსაქსა ეს ძალები. ზოგიერთ ხელმძღვანელებმა დაიწყეს შემდეგში გაფრთხილება ყოველგვარ გამოსვლებისაგან, ვინაიდან თვლიდენ მას „პუტჩებათ". ამავე დროს დამოუკიდებელი სოციალისტები ყოველნაირათ საბოტაჟს უწევდენ პროლეტარიატის სტიქიურ გამოსვლას. გაერთიანებელმა ყრილობამ ნათლად დააყენა საკითხი, რომ პარტიის მასიური ხასიათი ავალდებულებს მას უფრო მეტ აქტიურ მოქმედებას. დამფუძნებელი ყრილობის მანიფესტში ნათქვამია, რომ გერმანიის გაერთიანებულ კომპარტიას საკმარისი ძალები მოეპოვება, რომ მონაწილეობა მიიღოს გამოსვლებში, როდესაც ამას მოითხოვს გარემოება. რომ მას შესწევს საკმარისი უნარი პროლეტარიატის მოძრაობისათვის სათავეში ჩასადგომათ. მაგრამ წინასწარი პირობების შესაქმნელათ პარტიის აქტიური მოქმედების ამაღლებისათვის აუცილებელი იყო კომუნისტების მუშაობის გაერთიანება პროფკავშირებისა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში, რათა დაკავშირებოდენ ხალხის ფართო მასებს. აუცილებელი იყო დაცვა სტიქიურ მოძრაობის დაწყებისათვის, რათა ჩადგომოდენ სათავეში ამ მოძრაობას. იანვრის დასაწყისში ელოდენ რკინისგზელთა და ფოსტის მოსამსახურეთა ეკონომიურ ბრძოლას. პარტია შეუდგა მუშაობას სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და პროფკავშირთა ბიუროკრატიის ნდობის დასაკარგავათ მასებში. მაგრამ ეს მუშაობა არ სწარმოებდა საკმარისათ აგიტაციური და ორგანიზაციული სიძლიერით. პარლამენტის ფრაქციას სრულიადაც არ გამოუყენებია ცეკას ღია წერილი. პრესა ატარებდა პასივობის დამახასიათებელ თვისებებს. ამ პასივობაში გამოისახა ბელადების ოპორტიუნიზმი, რომლებშიაც ჩამოყალიბება იწყო იტალიის საკითხზე მემარჯვენე ფრთამ. „საბჭოთა რუსეთთან" კავშირის ლოზუნგმა ვერ შექმნა ფართო ბაზა პოლიტიკურ გამოსვლებისათვის. თებერვლის დამლევში მემარჯვენე ფრთა გამოვიდა ცეკას შემადგენლობიდან, და მაშინ მემარჯვენე ფრთის წინაშე დადგა ამოცანა აემაღლებინა პარტიის მოქმედება აგიტაციის გაძლიერებითა და ორგანიზაციების მომზადებით ბრძოლის ამოცანებისათვის. ამის აუცილებლობას უკარნახებდა აგრეთვე პოლონეთთან ომის საფრთხე. სავსებით ნათელი იყო, რომ მოსალოდნელი იყო შეტაკება მეზობელ ქვეყნებშივე, და მით უფრო მეტი ენერგიული მოქმედება უნდა გამოეჩინა პარტიას მუშაობის ყველა დარგებში. სწორეთ ასევე ნათელი იყო, რომ პარტია მით უფრო მეტს მოიგებდა, რაც უფრო მეტი დრო ექნებოდა მას ორგანიზაციულ და აგიტაციურ ხასიათის მუშაობისათვის. მაგრამ სამი კვირის განმავლობაში არ ეტყობოდა არავითარი გამოცოცხლება პარტიას. 17 მარტს, ცეკას სხდომაზე, ზოგიერთი ამხანაგები ამტკიცებდნენ, რომ პარტია არა თუ მზათაა მომავალ ბრძოლებისთვის, არამედ ის მზადაა [illegible] კვირის განმავლობაშიაც ჩაებას ბრძოლაში. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ სხვები მაგრამ პირდაპირ გადაჭრით არც ერთს არ გაულაშქრია. სხდომის დროს მოვიდა ცნობა გერზინგის მოქმედებათა შესახებ. ცეკამ განკარგულება გასცა შუა გერმანიის ორგანიზაციებს საერთო გაფიცვის მუქარით უპასუხონ ფაბრიკების დაკავებაზე პოლიციის მიერ. უკვე 21-ს ხდებოდა შეტაკებები მანსფელდში და რეთშტიკში, 22-ს ჰალეში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. 24-ს ცეკამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა მთელს სახელმწიფოში. ცეკას გამოანგარიშებით მასში მონაწილეობა მიიღო მუშების არა ნაკლებ ერთმა მილიონმა, ოპოზიციის გამოანგარიშებით არა ნაკლებ 200,000, რაც უეჭველათ არაა სწორი, ვინაიდან მარტო შუა გერმანიაში გაფიცული იყო მუშების დაახლოვებით ასეთივე რიცხვი.

თუმცა აქ პროვოკაცია სჩანდა, რაც უკვე განსჭვრიტა ბრანდლერმა თავის სიტყვაში ცეკას სხდომაზე 17 მარტს. ცეკამ დაადგინა დარტყმაზე უპასუხოს დარტყმითვე, და ეს სწორიც იყო, თუმცაღა პარტია ცუდათ იყო მომზადებული. ეს იყო სწორი იმიტომ, რომ გაერთიანებულ კომპარტიას ჯერ კიდევ არ მიეღო მონაწილეობა ბრძოლებში და მხოლოდ პირველათ უნდა მოეხვეჭა რევოლიუციონური პროლეტარიატის ნდობა. მაგრამ მეორე მხრით, გადასროლილ ხელთათმანის აღებით მას მაინც უნდა გაეთვალისწინებია, რომ ის არაა საკმარისათ მომზადებული და რომ მას არც პირდაპირი გადამჭრელი ბრძოლის წარმოება შეუძლია. ამ თვალსაზრისით 18-ის მოწოდება დიდი ტაქტიკური შეცდომა იყო. ბრძოლას უნდა ქონებოდა თავდაცვითი ხასიათი და გატარებულიყო მანსფელდიდან ჯარების გაყვანის და ზილიუელის შეთანხმების შესრულების ლოზუნგების ქვეშ. მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოძრაობა დაიწყებდა გაზრდას, შეიძლებოდა ლოზუნგებისაც და საბრძოლველი მეთოდების გაძლიერებაც. 17 მარტის სწორეთ გამოურკვეველი იდეები იყო ჩადენილ შეცდომების მიზეზი, ხოლო შეტევის თეორია კი მათი დაგვირგვინება.

ჩვეულებრივი სამხედრო შეტევების წინასწარი პირობაა მოულოდნელი შეტევა, თავდაცვას კი ადგილობრივ პირობების ცოდნის უპირატესობა აქვს. პოლიტიკურ ბრძოლაში ადგილობრივ პირობების ცოდნა არაა დაკავშირებული თავდაცვის მიზანზე, სწორეთ ასევე არ შეიძლება იყოს გაბატონებულ მომენტათ პოლიტიკურ შეტევებში მოულოდნელობა, ვინაიდან შეუძლებელია მასიური შეტევების წარმოება ისე, რომ ისინი მოულოდნელი გახდენ მტრისათვის. რასაკვირველია, პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება იმდენათვე შეუძლებელია შეუტევლათ, რამდენათვე ჩვეულებრივ ომში, მაგრამ პროლეტარიატის გადაჭრილი გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოთ მთელ რიგ მოსამზადებელ, უმთავრესათ თავდაცვითი ხასიათის ბრძოლების შემდეგათ, ვინაიდან პროლეტარიატის მობილიზაცია გაცილებით უფრო ადვილია მისი პირდაპირი ინტერესების დასაცავათ, ვიდრე ხელისუფლების დასაპყრობათ. მხოლოთ იმ შემთხვევაშია შესაძლო შეტევაზე გადასვლა, როდესაც მტრის ძალები დაქსაქსულია. ამიტომ პროლეტარიატის შეტევითი პოლიტიკა მისი ძალების მოკრებას პერიოდში მიუღწეველია, მაშასადამე, შემცდარია.

თავის რეზოლიუციაში 7 აპრილიდან, ამხ. კლარა ცეტკინა ერთი მხრით აცხადებს გერმ. გაერ. კომპარტიის შეტევითი ტაქტიკის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, მეორე მხრით, ისევ აცხად. იმის შესახებ, რომ მარტის გამოსვლები წარმოადგენს ბაკუნისტურ გზას. ასეთი მტკიცებანი მოწმობენ მხოლოთ იმას, რომ როდესაც საქმე მოქმედებას ეხება, ჩვენი ყველა შეტევითი თეორიები მხოლოთ სიტყვებათ იქცევა.

ამ გვარათ, რომ უდიდეს მნიშვნელობას მოვლენების, სახელდობრ: იტალიის, გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის ამბების გარჩევას მივყავართ ჩვენ შემდეგ დასკვნამდე; იტალიაში და ჩეხოსლოვაკიაში საქმე გვქონდა ჩვენ ოპორტიუნისტურ ხელმძღვანელ პარტიაში, რომლებმაც ვერ მოახერხა მასების სტიქიური გამოსვლების გამოყენება. გერმანიაში ვხედავთ იმის მაგალითს, თუ როგორ ვერ გაიგეს პარტიის რევოლიუციონურათ განწყობილება ბელადებმა, როგორ მოამზადონ მასიური გამოსვლები და როგორ ჩაატარონ ეს გამოსვლები მასებთან მჭიდრო კავშირში. და იმ გარემოებას, რომ, ყველა თავისი ნაკლულოვანებებით მიუხედავათ, ის მაინც აწარმოებდა ბრძოლას, ქონდა შემდეგი, მეტად კეთილ სასურველი შედეგები: 1) მოწინავე რევოლიუციონურ პროლეტარიატის ნდობის გაძლიერება მისდამი, როგორც ბრძოლის პარტიისადმი; 2) შიგნით თვით პარტიაში ყველა ცენტრისტულ და ნახევრათ-ცენტრისტულ ელემენტების გამოაშკარავება, რაიცა პარტიის ბრძოლას უნარის მნიშვნელოვანი გაუმჯობესობის თავდებია მომავალში. მარტის დამარცხება, რამდენათაც პარტია იგებს ყველა მის გაკვეთილებს, მისი გამარჯვების წინასწარი პირობაა მომავალში.

გადადის რა პროგრამულ საკითხებზე ამხ. რადეკი აღნიშნავს, რომ მე 2 ინტერნაციონალი იდგას რეფორმების თვალსაზრისზე, ხოლო 2 ნახ. ინტერნაციონალი კი თავს არწმუნებს, რომ ვითომ მას აქვს არა რეფორმების პროგრამა, არამედ ლასალისტურ მოქმედების პროგრამა.

თუ 60 ან წწ. ლასალმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ახლა პროლეტარიატის ყველა ძალები თავმოყრილი უნდა იქნეს ერთ მუხლზე—საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, დამოუკიდებლები წინადადებას იძლევიან თავი მოუყარონ ყველა ძალებს სამეურნეო საკითხებზე. გერმანიაში მათ წამოაყენეს სოციალიზაციის ლოზუნგი, ინგლისში სამთო მრეწველობის ნაციონალიზაციის. ამ ნაციონალიზაციისთვის ბრძოლაში უნდა გამომუშავდეს პროლეტარიატის რევოლიუციონური სული. გულდასმით რომ ანალიზი გაუკეთოთ ამ თეორიას, შეიძლება მივიდეთ ერთ დასკვნამდე—დამოუკიდებლები პირდაპირ წითელ ფერებით ალამაზებენ თავის შიშს აშკარა ბრძოლისადმი. ლასალის თვალსაზრისი სავსებით მართლდებოდა თავის დროზე მით, რომ მაშინ პროლეტარიატი სრულ დაბეჩავებაში იყო და წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი ქონდა. ახლა კი პროლეტარიატი სისხლისგან იცლება, და უტოპიაა ის აზრი, რომ მთელი მისი ენერგიის მიმართვა შეიძლება მხოლოდ ნახშირის მრეწველობის სოციალიზაციისთვის ბრძოლისაკენ. ამის მაჩვენებელია ინგლისის მაგალითი. ყველას ახსოვს ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა მენახშირეთა კავშირი სმილის ხელმძღვანელობით. მთელ ამ კამპანიას არ უთამაშია სრულიად არავითარი როლი პროლეტარიატის კლასიურ შეგნების გარევოლიუციონერობისათვის. მთელი ეს ბრძოლა ნაციონალიზაციისათვის იყო მხოლოდ მოჩვენებითი, ხოლო მის უკან კი იმალებოდა სოციალ დემოკრატიის ძველი, ყველასათვის ცნობილი პროგრამა-მინიმუმი.

ჩვენ, კომუნისტები ვიდექით სრულიად სხვა თვალსაზრისზე. კომუნისტური პარტიის დაარსების დროს განიმარტა პროგრამა შემდეგნაირათ: მთელი ძალა-უფლება მუშათა დეპუტატების საბჭოებს, პროლეტარიატის შეიარაღება, ფაბრიკების ხელში ჩაგდება. მაშინ ძალა-უფლება ფორმალურათ საბჭოების, მუშათა კლასის ხელში იყო. მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ძალა-უფლების სათავეში სდგას ბურჟუაზია. მხოლოდ ახლა იწყებს ზრდას პროლეტარული რევოლიუცია. მაგრამ ახლა არ შეგვიძლიან ჩვენ გამოვიდეთ ერთი ცალიერი ლოზუნგით—პროლეტარიატის დიქტატურა. არა ყოველთვის, როდესაც მუშები გაფიცული არიან, შეგვიძლიან უთხრათ მათ: დაიჭირეთ ფაბრიკები. რასაკვირველია ჩვენ მუდამ უნდა ვუთითებდეთ მათ, რომ შეუძლებელია მუშათა კლასის მდგომარეობაში ხანგრძლივი გაუმჯობესობა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ხელისუფლების დაპყრობით. მაგრამ ამ ძირითადიდან უნდა გამომდინარეობდეს მოთხოვნები, რომლებიც მომენტის მიმდინარე მოთხოვნებია, რომლებიც შეადგენს პროლეტარიატის ყოველდღიური ბრძოლის შინაარსს.

როგორია ახლა ჩვენი ლოზუნგები, რომლების ქვეშაც პარტიებმა უნდა აწარმოონ თავისი მოსამზადებელი მუშაობა რევოლიუციონურ გამოსვლებისათვის?

განვიხილოთ თუ რითი განირჩევა ჩვენი პროგრამა სოციალ დემოკრატიისა და ცენტრის პროგრამა-მინიმუმისაგან. სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, როგორც ვიცით, დამყარებულია წინასწარ პირობაზე, რომ კაპიტალისტური წყობილება განაგრძობს არსებობას კიდევ დიდხანს და ამიტომ სოც. დემოკრატიის მთელი მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს მუშათა კლასის მდგომარეობის შეძლებისდაგვარათ გაუმჯობესებისაკენ არსებულ წყობილების ფარგლებში. ეს პროგრამა როზა ლუქსემბურგმა დაახასიათა თავის პოლემიკაში ზომბარტთან, როგორც ბრძოლა იმისთვის, რომ მუშა ღებულობდეს რეალურ ქირას თავის სამუშაო ძალაში, ისეთ სამუშაო ქირას, რომელიც შეძლებას მისცემდა მას აღედგინა თავისი სამუშაო ძალა. ეს პროგრამა, როგორც უკვე აღნიშნა კარლ მარქსმა „გოტის პროგრამაში", თუმცა აყენებს მოთხოვნებს, რომლების განხორციელებაც შესაძლებელია ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში, ხდება რევოლიუციონური იმიტომ, რომ კაპიტალისტები უარს ამბობს განახორციელონ ეს მინიმალური მოთხოვნებიც კი. სოციალ დემოკრატია დღევანდელ მომენტშიდაც ამ თვალსაზრისზე დგას გერმანელ ისტორიკოს დალმანის სწორი გამოთქმით, შენობის აღდგენა, რომელიც იშლება მდგომარეობს მის დანგრევაში. მაგრამ სოციალ დემოკრატები ოცნებობენ დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილების აღდგენაზე იმისთვის, რომ შემდეგ მოსთხოვონ მას მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესობა. კომინტერნს შეუძლია მისცეს პარტიებს მხოლოდ ძირითადი ხაზები და ყველა დანარჩენებში კი მისცეს უფლება იმოქმედონ კონკრეტიულ სიტუაციასთან შეფარდებით: ეს ძირითადი ხაზები შემდეგია: 1) [illegible] პროლეტარიატის პრაქტიკულ ბრძოლისათვის ხელისუფლების დაპყრობის აუცილებლობის დაპირდაპირება იმ საბუთით, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია გააუმჯობესოს მუშათა კლასის მდგომარეობა. როგორც გ. კ. მ. პ. ჩვენს ღია წერილის საპასუხოთ სწერს: „თქვენ უწინარეს ყოვლისა შემოუსხდით ერთ სუფრას შეიდემანელებთან ერთად და მერმეთ წამოაყენეთ რეფორმისტული მოთხოვნები; ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ თუ მუშა დღეს აიღებს 40 მარკას, ხვალ ფასები აიწევს". ჩვენ მათ ვუპასუხებთ: ასეთი წესით ვერ მოუხერხავთ კომუნიზმს ვერც ერთ მუშას. როდესაც ჩვენ ვეხმარებით მუშას მოიპოვოს გადიდებული სამუშაო ქირა ამით სრულიადაც არ ვუწყობთ ხელს კაპიტალისტურ წყობილების აღდგენას, და მხოლოთ ვეხმარებით პროლეტარიატს, ხოლო ვეხმარებით რა მას ამაში, ჩვენ მიგვყავს ის შემდეგი, სულ უფრო და უფრო დიდი ბრძოლებისაკენ, 2) პროლეტარიატის შეიარაღება და ბურჟუაზიის განიარაღება. ეს შეიარაღება არ უნდა გვესმოდეს საიდუმლო მებრძოლი ორგანიზაციების აზრით. პროლეტარიატის თითეულ გამოსვლის დროს პარტიები უნდა აგონებდენ მასებს მისწრაფებას თეთრების განიარაღებისა და პროლეტარიატის თვითშეიარაღებისაკენ.

დასასრულ ამხ. რადეკი ამბობს: მე უკვე დასაწყისში აღვნიშნე, რომ ჩვენ ვიმყოფებით დიდი ბრძოლების წინ. როგორც ამტკიცებს ამხ. ტროცკის მოხსენება, განვითარება არ წავა პირდაპირი ხაზით. ამიტომ ჩვენ უნდა ვემზადოთ ყოველ შემთხვევისათვის. პროპაგანდა ეს მომზადებაა, ბრძოლისათვის. ამიტომ იყავით ზარი, რომელიც მოუხმობს მასებს ბრძოლისაკენ. მაგრამ ჩვენ ვართ საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატის ინტერნაციონალი არა მარტო იმიტომ, რომ კარგათ ვეწევით აგიტაციას, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის რევოლიუცია ფორპოსტია. ჩვენ არ ვიცით რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. შესაძლოა ხვალვე ჩავებათ დიდ ბრძოლაში. ამიტომ დროიანათ უნდა ვიყოთ მომზადებული. მართალია, რევოლიუციის მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ არმიას შეიძლება და კიდევაც უნდა ვუსარდლოთ, და უნდა მოვამზადოთ ამ ბრძოლისათვის პროლეტარიატის შეგნება. მოსამზადებელი მუშაობა არ უნდა იქნეს დაპირდაპირებული ნამდვილ შეტევითი მოქმედებებზე, ის პარალელურათ უნდა წარმოებდეს მოქმედებებთან და ეს მოქმედებები უნდა გამოიხატებოდეს ყველაფერში: რევოლიუციონურ აგიტაციაში, პროპაგანდაში, დემონსტრაციებში, აჯანყებებში. ყოველ მდგომარეობიდან რაც შეიძლება მეტი შედეგების ამოწურვა, აი რა უნდა იყოს ჩვენი პაროლი. და ის, ვინც ფიქრობს, რომ ეს ნიშნავს მარჯვნივ გადახრას, ის ცდება. უკვე დიდიხნის უკან ტროცკიმ დაამტკიცა, რომ მოუთმენლობა ეს ის საერთო ნიადაგია, რომელიც აერთიანებს ოპორტიუნისტებსა და მემარცხენეებს. ოპორტიუნისტი, რომელსაც სურს მიაღწიოს მიზანს და ხედავს, რომ ის ძალიან შორსაა, ცდილობს გვერდი აუაროს მას რამენაირათ; სხვები იმავე მოტივებით ცდილობენ გადახტენ განვითარებას უშუალოთ. ჩვენ კი გეუბნებით თქვენ: ნუ მოითხოვთ დღევანდელ დღიდან იმას, რისი მოცემაც შეუძლია მხოლოთ ხვალინდელ დღეს, დღეს კი ყველაფერი იღონეთ იმისთვის, რომ მოამზადოთ ხვალინდელი დღე. ემზადეთ ბრძოლისათვის, მაგრამ ისწავლეთ ბრძოლაში. ჩვენი მიზანია მოვიმხროთ ფართო მასები და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევა პირდაპირი გამოსვლების პროცესი იმისთვის, რომ გამოვარჩიოთ საუკეთესო საშუალება ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

ანგორა. 1 სექტ. (რადიო). ოსმალთა ნაწილის მიერ კონტრ-ატაკით მტრის შემოტევა ცენტრზე და მარჯვენა ფლანგზე უკუ გდებულ იქნა.

ამბოხება სირიაში.

რომი. 6 ენკენ. (რადიო) იტალიის პრესა იუწყება რომ სირიაში მოხდა სისხლიანი შეტაკება. შეტაკება სწარმოებდა მხედრობისა და აჯანყებულ არაბთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

6 სექტემბერს, სამშაბათ საღამოს, თბილისის სამაზრო რევკომის თავმჯდომარე, ჩვენი ამხანაგი ილიკო მგელაძე გარდაიცვალა.

◆ **რკინის გზათა სამმართველო.** ხაზ. ნ. ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შეერთებული რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ლიანდაგის უვარგისობისა, შპალების სიძამპლის გამო, რადგან უკანასკნელი ჯერ ვერ მიგვიღია ტყის მასალების მიმწოდებელ დაწესებულებებიდან; ამა წლის (9) ცხრა სექტემბრიდან შესწყდება ყოველივე მიმოსვლა, სანამ ლიანდაგი შეკეთდებოდეს.

ცნობა: იკეტება შემდეგი უბნები:

1) კახეთის გზა მთლად: ნავთლუღიდან-თელავ და წნორისწყალს შუა.

2) ზუგდიდის ხაზი: სად. ახალსენაკს და ხეთას შუა.

3) ჯულფის ხაზი: სად. ულუხანლუდან ჯულფამდის.

◆ **გაიხსნა ქოხ-სამკითხველო წყნეთში და დიღომში.** 5 ენკენისთვეს ორი ექსპედიცია კურსანტებ-ინსტრუქტორებისა 10 კაცი თითოში პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველომ გაგზავნა წყნეთში და დიღომში. ადგილობრივ რევკომებთან ერთად გლეხები შეკრიბეს, მიტინგები გამართეს და დაარსეს ქოხ-სამკითხველოები. დიდებულათ იყო მოწყობილი იმათი გახსნა. ექსპედიციამ მოიტანა ლიტერატურა, პლაკატი და გაზეთები. ადგილობრივი გლეხობიდან აირჩიეს მმართველობა. თავმჯდომარეთ აირჩიეს რევკომის თავმჯდომარე. გლეხებმა დიდი მადლობა განაცხადეს კულტურულ კარისთვის. 1917 წლიდან მიუხედავათ იმისა, რომ თბილისი ესე ახლოა, არავის ჩვენზე არ უფიქრიაო, განაცხადეს გლეხებმა. სხვადასხვა ქოხ-სამკითხველოების და მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობის შორის კავშირია, რომელმაც უნდა მიაწოდოს გაზეთები და გაუგზავნოს ინსტრუქტორები გლეხებს.

◆ **ლექცია.** პარასკევს 9 სექტემბერს, ახალგაზრდა კომუნისტების კლუბში, მე 4 რაიონი, ბებუთოვის ქუჩა, № 22 მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობის ლექტორი ამხ. გაუსანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ასტრონომიიდან“.

◆ **ლტოლვილები.** 5 სექტემბერს განჯიდან—ნავთლუღით გუმბრაში გაგზავნილია 33 ვაგონი მუსულმან ლტოლვილებით.

◆ **გადასახლებულნი.** 5 სექტემბერს ბორჯომის სადგურიდან და 6 სექტემბერს სანდარის სადგურიდან გაგზავნილია სადგურ არმავირში—ბორჯომიდან 41 ვაგონი და სანდარიდან 23 ვაგონი გადასახლებულებით.

◆ **ბამბეულობის ექსპორტი.** ენკენისთვეს ბათომს გაიგზავნა 36 ვაგონი ბამბეულობა საზღვარ გარეთ გასაგზავნათ.

◆ **საქონლის გაცვლა-გამოცვლა.** 1 ენკენისთვეს ბათუმის ნავთსადგურში მოვიდა გემი „დიმიტრი“ ბერძნეთის დროშით. გემით ჩამოტანილია 73 000 ფუთი სასურსათო საქონელი მათ რიცხვში 40.000 ფუთი ფქვილი. ამიერ-კავკასიის სასურსათო ბიუროს გამგე ამხ. ბეზრუკო გზავნის ბათომიდან ფქვილს რკინის გზით მუშებისთვის.

◆ **სახელმწიფო გამომცემლობაში.** სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის გეგმის გამოსამუშავებლათ და რომ მან სახალხო კომისარიატებს უკეთესი სამსახური გაუწიოს, 8 ენკენისთვეს დღის 12 საათზე სახალხო განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრის გამგის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ., სახ. ყოფილი პირველი ქალთა გიმნაზია, ოთახი 13) შედგება თათბირი ყველა სახალხო კომისარიატებისა. საქართველოს რევკომის და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა. ყველა სახალხო კომისარიატმა უნდა გამოგზავნოს პასუხისმგებელი წარმომადგენელი, მის მიერ წლის ბოლომდე განზრახულ გამოცემის სიით. განხილულ იქნება ან საკითხები გამომცემლობის საკითხისა. სტამბების კარგათ მოხმარებისა და სხვა. ქაღალდის მთავარ მმართველობამ და პოლიგრაფიულმა განყოფილებამ უნდა წარმოადგინონ თათბირზე სრული ცნობები ქაღალდის მარაგის რაოდენობისა და სტამბების სივრცის შესახებ. სასურველია დასწრება თათბირზე ქალაქის რევკომის, ქალაქის სასურსათო კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა.

ხმა მუშისა

საბჭოთა ხელის უფლების სისტემა მოითხოვს დაუყოვნებლივ შრომის განთავისუფლებას და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. დაცვა საერთო მუშათა ინტერესებისა, მოსპობა ინდივიდუალური პრივილეგიებისა, შექმნა უფლებრივი თანასწორებისა, აი რაში უნდა გამოიხატოს მუშათა კლასის ინტელექტური და მისი სოციალ-ეკონომიური რეალური პირობები. ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელება და მიღწევა-შესრულება რომ შესაძლებელი გახდეს და თანამედროვე ცხოვრება ახალ ფორმებში ჩამოყალიბდეს, ამისთვის საჭიროა მეტი ორგანიზაციული შემოქმედება მუშათა წრეებში, კარგი და ფხიზელი დარაჯები საწარმოო დარგებში და მომზადებული და დახელოვნებული მუშაკები ყველა სფეროებში.

წინათ, როცა მუშათა კლასი და განსაკუთრებით პროლეტარიატი იდგა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და ვმუშაობდით ექსპლოატატორთა ზედამხედველობის ქვეშ, ჩვენი პირდაპირი ინტერესი არ იყო, რომ აღნიშნულ ფაქტორებზე მზრუნველობა გაგვეწია. ახლა კი, როცა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონი შეიქნა პროლეტარიატი, ამიერიდან აღიარებულია მუშა-გლეხთა სუვერენიტეტი და მათი უზენაესი ძალა-უფლება.

ძველი ცხოვრების საძირკველი შერყეულია, იგი ამოვარდა თავის კალაპოტიდგან. იგი წააგავს აბობოქრებულ მღელვარე ზღვის აგორებულ ტალღებს, რომელიც განიცდის ხანმოკლე სტიქიურ ბრძოლის პროცესს. ასეთივე პროცესს განიცდის თანამედროვე ცხოვრება. იგი ამოვარდნილი ძველ რგოლიდგან ახალ რგოლში გადასასვლელ გზას ეძებს; ეს გზა ნაპოვნია და მან ფეხი შედგა კიდეც მასზე.

ჩვენ ვამბობთ, რომ საჭირონი არიან საწარმოო დარგებში მომზადებული პირები მასთვის უფრო, რომ გააცნონ მუშებს თუ ვისთვის მუშაობენ დღეს ისინი, რა მოვალეობა აწევს ყოველ მათგანს და ვინ არის მისი პატრონი; გააცნოს აგრეთვე პროფკავშირების საქმიანობა და სხვა. გარდა ამისა აუცილებელი ხდება, რომ ასეთი ამხანაგი იცოდნე იყოს ქართული ენისა, რადგან ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში მომუშავენი მეტი თუ არა ნახევრათ მაინც ქართველები არიან. (მხედველობაში გვყავს ადგილობრივი [illegible], რომელნიც აღზრდილნი არიან ქართულ ენაზე და [illegible] სრულიად არ იციან). მაშინ ყველა მუშას მიეცემა საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს კრებებზე კამათის დროს. მოკლეთ უნდა დაინტერესდეს მუშა თავის შინაურ საქმის მოგვარებაში. აღძრულ საკითხების გარშემო უნდა შემოკრბენ ყველანი დიდის ენერგიითა და დიდის ყურადღებით, რომ კოლექტიურათ აწარმოონ თავისუფალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესი. აქ უკვე შეთვისებული ენის მეოხებით მზადდება ნიადაგი იმისა, რომ მუშა უნდა დაინტერესდეს სახელმწიფო საზოგ. საქმეებით, აქ უკვე თანდათანობით ენის მეოხებით მჭიდროთ კავშირდებიან მუშათა ჯგუფები. თუ ჩვენ ჩაუკვირდებით და გადავავლებთ თვალს მუშების სულიერ განწყობილებას და ჩავიხედავთ მათ მდგომარეობაში, დავინახავთ, რომ ენას მეტად დიდი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მუშათა მასსების ერთ რკალში, ერთ ორგანიზაციაში მოსაქცევათ. ეს საკითხი რომ დღემდე მივიწყებულია კუთხეში ეს პროფკავშირების მინუსია.

ამ მცირე შენიშვნების შემდეგ, რაზედაც დღემდე არავინ ვამბობდით, იძულებული ვართ ეს სააშკარაოზე გამოვიტანოთ, რომ ნათლათ დაინახონ უმაღლესმა ორგანოებმა და გაიზიარონ ჩვენი ტკივილები: ეგების მაშინ გვეშველოს წყლულის განკურნება. დეე დაინახონ, თუ როგორ გულცივად და ნაკმაზ-კმევით მოდიან ქართულ ენის საკითხისაკენ. ჩვენ არ ვამბობთ სათავეში მდგომ მმართველ წრეებზე, ჩვენ ვლაპარაკობთ და ვგულისხმობთ დაბალ პერიფერიებს, სადაც თავი მოუყრია „შენით ჩემი ვაკეთო ხალხს“. ჩვენ ამის მაგალითები ბევრი ვიცით. მაგალითისათვის ამ ჟამათ დავასახელებთ მხოლოდ 1-ლ საბჭოთა ფაბრიკაში მომუშავეს, რომელიც პოლიტკომისრად არის დანიშნული. მას, მგონი, ქართული ენა თავის დღეში არ გაუგია და ქართველი კაცი მხოლოდ სიზმარში თუ უნახავს. ეს კი მეტად აფერხებს მუშების საქმეს. ხშირად ასეთი შემთხვევებიც არის: პროფკავშირიდან მოდიან ამხანაგები და კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს და სხვა, მაგრამ ჩვენთვის ამგვარი ლექციები და მოხსენებები სრულიად გაუგებარია და ლექციების კითხვა და სხვა ტყუილი წყლის ნაყვაა. ასევე ითქმის ადგილობრივი ფაბკომის ჩვეულებრივ კრებებზე, სადაც ვინც რუსული ენა იცის ის ყველაზე ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ საქმის ვითარება ესმის ისე, როგორც კალატოზს ვექილობა.

მაშინ როდესაც საუკეთესო მუშები, რომლებსაც შესწევთ ძალა და ნიჭი, რომ კეთილგონიერად და მიზანშეწონილად მოაგვარონ და დაამთავრონ ყოველი მათ წინ წამოჭრილი საკითხები, ენის უცოდინარობის გამო ჩუმად არიან: ისინი საუკეთესო თავიანთ აზრებს უხმოდ იკლავენ გულში. და ეს სულ იმ გარემოებას მიეწერება, რომ ხალხის საკუთარ ენაზე წარმოებაში ნაკლები ყურადღებაა მიქცეული.

საკუთარი ნაციონალური ენა საარსებო რეალურ საჭიროებას შეადგენს და ეს იმიტომ, რომ ენის საშუალებით ებრძვის იგი ყოველგვარ დაბრკოლება-გაუგებრობას. ამით იგი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ყოველივეს, რაც მისი გულის ნდებს არ ეწყობა, არ ეგუება. უამისოდ კი იგი ერთნაირათ ჩამოშორებულია ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეებს. ხშირად იმართება ფაბკომის და საზოგადო კრებები. დღის წესრიგში წამოყენებულია მრავალი საკითხი შინაური აპარატის მოგვარების შესახებ და აქ უცხო ენის უცოდინარობის გამო ჩვენი უტყვი მუშა სრულიად მოკლებულია კამათ-მსჯელობის საშუალებას.

მეტად ახირებულ-უხერხული მდგომარეობაა: გილაპარაკებიან შენი ცხოვრების გაუმჯობესებაზე და შენ კი ნალაპარაკევის სრულიად არაფერი გესმის. ვთქვათ, არჩევნებში, კენჭს უყრიან რომელიმე კანდიდატს და არ იცი ვის ირჩევ და რისთვის. ასწევენ ხელს, შენც აიწევ, ჩამოუშვებენ და შენც ჩამოუშვებ. ისეა გავარჯიშებული შენი ხელები, რომ ისინი ავტომატიურად მოქმედებენ: რა წამს დაინახავ, რომ ხელები აწეულია მაღლა შენ გვერდზე მდგომთ, მაშინვე ელვის სისწრაფით ავარდებიან შენდა უნებურად ეს არა-მკითხენი და მისჩერებიან სხვებს, როდის ჩამოუშვებენ ძირს ხელებს, რომ შენც დაუშვა საჩქაროდ, რათა უვიცობა არ [illegible]. შეიძლება სთქვან, თუ ვინ უშლის აიღოს სიტყვა და ილაპარაკოს, რომელ ენაზედაც მოეხერხებათ.

ეს იმას ემგვანებოდა, რომ კაცი სწერდეს ორივე ხელით და მარჯვენამ არ იცოდეს მარცხენა ხელის ნაწერი, ხოლო მარცხენამ—მარჯვენისა. აიღოს სიტყვა და ილაპარაკოს? კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ვის ელაპარაკოს? კედლებს, თუ მანქანებს?! არც კომისარს, არც თავმჯდომარეს და არც თვით მომხსენებელს არ ესმით გარდა რუსულისა სხვა ენა! ამნაირათ დგას მუშა ტყულ-ხელ დაკრეფილი მთელი კრების ხნის განმავლობაში უსიტყვოდ მგზავსად პირველყოფილი ადამიანისა. კრება დასრულდება, დაიშლება, წავლენ-წამოვლენ მეთაურ-ხელმძღვანელები და ჩვენი მუნჯიც დაუბრუნდება უსიტყვოთ, ხმაამოუღებლივ თავის ადგილს თითქო კრიჭა შეჰკვრიაო. აი როგორი სურათი გვეშლება თვალწინ, როცა ჩვენებური მუშების ყოველდღიურ ცხოვრებას თვალს გადავავლებთ. ასეთ მდგომარეობაშია დღეს რუსული ენის უცოდინარობის გამო, მაგალითად, პირველი საბჭოთა ფაბრიკის, სახელწოდებით „ინტერნაციონალის“ მუშები. ხშირად მუშას პოლიტკომისრის ნაბრძანები სიტყვა არ ესმის და იგი ბრძანება ბრძანებათვე რჩება, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ამიტომ ხშირია შეუთანხმებლობა გაუგებრობა კომისარსა და მუშებს შორის ენის გაუგებრობის ნიადაგზე. ხოლო ამას კი ჩვეულებრივათ დეზორგანიზაცია შეაქვს საქმეში. მაშ სად არის ხსნა და რითი ეშველება საქმეს? უნდა მოისპოს დესპოტიური დისციპლინა, რომელმაც გაიდგა ფართეთ მძლავრი მყრალი ფესვები. მის ნაცვლათ უნდა განმტკიცდეს კომუნისტურ ჰუმანიური დისციპლინა. რაში გამოიხატება პირველი, და რას წარმოადგენს მეორე, ჩვენ არ ვიცით, თუ რა დავარქვათ იმას მსგავს მოქმედებებს, რასაც ადგილი აქვს ამ ჟამად ზემოდ აღნიშნულ საწარმოვო დაწესებულებაში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: 1) უპასუხისმგებლობა გამგე მმართველი პირების მხრით; 2) განუსაზღვრელ თვითნებობას კერძო ინტრიგებზე დამყარებულს; 3) დაქვემდებარების უარყოფას, ურჩობას; 4) მუშა ძალის უხვათ ფლანგვას: ერთი კაცის საქმის გასაკეთებლად სამ-ოთხი კაცის დანიშვნას; 5) პრაქტიკული ენერგიის თვალსაზრისით შესაბამისი მოქმედებას, როცა იგი ეწინააღმდეგება შრომის კანონების ინტერესებს. აი ყოველივე ის, რაც ახასიათებს ჩვენში ახლა გამეფებულ დისციპლინას. ამით აუცილებელი ხდება წარმოებაში შრომის შემოქმედების ერთ წერტილზე დაყენება. შეგვიძლიან ამის გარდაქმნა, რომ კარი გავუღოთ ნამდვილ ჰუმანიტ დისციპლინას და მით შრომის განვითარება—ნაყოფიერება უმაღლეს წერტილზე ავიყვანოთ. „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო“. ამბობდენ პროლეტარიატის იდეოლოგიის გენიოსი მამათ მთავრები—მარქსი და ენგელსი და ჩვენი ხსნაც ჩვენ ხელშია.

მოვსპოთ ყოველივე ის, რაც ჩვენ კოლექტიურ შრომის ინტერესებს წინ ეღობება და შევქმნათ ის, რაც ჩვენ საერთო შრომის ინტერესებს შეეგუება და ხელს შეუწყობს შრომის განვითარება აყვავებას და ეკონომიურ წარმატებას. ამისათვის საჭიროა არსებული დისციპლინის შეცვლა და მის მაგიერ დამყარება კომუნისტურ-ჰუმანიურისა.

რაში გამოიხატება ეს უკანასკნელი? აი რაში: 1) უნდა მოისპოს ადგილობრივი საწარმოვო დაწესებულების კომისრების უწყალო მოქმედება—უპასუხისმგებლობა და შეიქმნას მისი სასტიკი პასუხისმგებლობა ადგილობრივ ფაბკომების წინაშე. 2) უნდა გაჰქრეს განუსაზღვრელი თვითნებობა და გამეფდეს მუშათა საერთო ინტერესები, 3) უნდა მოისპოს ურჩობა და დაუმორჩილებლობა (ტეხნიკური თვალსაზრისით), 4) არ უნდა იფლანგებოდეს მუშა-ძალა ერთ თანამდებობაზე სამი ოთხი კაცის დანიშვნით და 5) უნდა სისწრაფით და მიზან-შეწონილათ განაწილდეს ყველა შრომის საწარმოო ფუნქციები [illegible] მცოდნე პირთა შორის და [illegible] და 6) უნდა მიექცეს ყურადღება მუშების ენას და შეიქმნას პირობები, რომ მუშას საშუალება მიეცეს, ვისაც რომელ ენაზე სურს და ეხერხება, იმ ენაზე გამოთქვას თავისუფლათ თავისი აზრები.

ჩვენ მუშები დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მცირე განმარტება თუნდაც ის მეტათ მარტივი იყოს, მიიღება, როგორც დაკვირვების და ცხოვრების წყარო გამოცდილების გაკვეთილი. ჩვენ ვსთქვით ის, რაც საქართველოს მუშათა კლასისთვის აუცილებელ პირობებს შეადგენს.

იმედია მიაქცევენ ამ მცირე განმარტებას ყურადღებას ვისგანაც ჯერ არს.

1 ლი საბჭოთა მ. კოლ. ფაბრიკის მუშა დათიკო კუჭავაძე.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრში.

სახელმწიფო ოპერის თეატრში უკვე შეუდგნენ მუშაობას მომავალ ზამთრის სეზონისთვის. დასმა უკვე მოიყარა თავი თბილისში. ამ დღეებში ჩამოვლენ კიდევ რამდენიმე ახლათ მოწვეული მსახიობნი და სექტემბრის ნახევრიდან შეუდგებიან რეპეტიციებს. სეზონი გაიხსნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში. სეზონის განმავლობაში განზრახულია დასდგან რამდენიმე ახალი ოპერა და განაახლონ ძველი რეპერტუარი, რომელიც დიდი ხანია არ დადგმულა თბილისში. ახალ ქართულ ოპერებიდან განზრახულია დასდგან მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“, რომელიც თითქმის უკვე მზათ არის და მოითხოვს სრულიად დამთავრებისთვის ცოტა მუშაობას და ვ. დოლიძის ოპერა „ლეილა“. განაახლებენ ვაგნერის ოპერის „ლოენგრინის“ და ბოროდინის ოპერის „თავადი იგორის“ დადგმას მორდკინის ბალეტით. წარმოდგენები მომავალ სეზონში ფასიანი იქნება გარდა ერთი მეოთხედისა (25 პროც.), რომელიც უფასოთ განაწილდება მუშათა და სამხედრო ორგანიზაციათა შორის.

—

აკადემიურ თეატრის კულტ.—იაჩეიკის კონცერტ—წარმოდგენ.

5 სექტემბერს აკადემიურ თეატრის „არტისტის“ კულტ.—იაჩეიკის მიერ გაიმართა პირველი საღამო კონცერტ—წარმოდგენა. თეატრის ფარდის წინ ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი. კულტ—იაჩეიკის კოლეგიის წევრმა კულტ—იაჩეიკის თეატრის მიზნების შესახებ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. შემდეგ წარმოადგინეს ჩეხოვის „ქირურგია“. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით და საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

პარტიული ცხოვრება

დაბა ხობი (ზუგდიდის მაზრა)

ა. წ. 13 აგვისტოს ზუგდიდის სამაზრო პარტკომის რწმუნებულებმა: ამხ. პ. მამფორია, კ. წურწუმია და ვ. ბუკიამ დაიწყეს ხობის რაიონში „ორკვირეულის“ ჩატარება. ასეთი პირველად იგი მოწყობილი იქნა სოფელ ხეთაში, სადაც პარტიული ამხანაგების სულიერი განწყობილება დიდათ დამაკმაყოფილებელი იყო. მომხსენებლებს აღტაცებით ხვდებოდნენ პარტიული ამხანაგები. შემდეგ „ორკვირეული“ მოეწყო ხობის რაიონის დანარჩენ სოფლებშიაც. პარტიული ამხანაგები ზოგ ალაგას იმით არიან უკმაყოფილო, რომ რეგისტრაციაში გაუტარებლად დარჩენილან. ბევრ სოფლებში თითქმის ფაქტიურად არ არსებობდნენ კომ-იაჩეიკები, მაგრამ ასეთები დაარსებულ იქნენ ახლა ყველგან. „ორკვირეულის“ ჩატარების გარდა ბევრი ადგილობრივი საქმეები იქნა მოგვარებული და პარტიის მაგარ ორგანიზაციულ ჩარჩოებში ჩამოყალიბებული. ყველა სოფლის რევკომებს და კომ-იაჩეიკებს განმარტებული ახსნილი ექნებათ თავიანთი მოვალეობა და ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ასე დამთავრდა მუშაობა „ორკვირეულის“ ჩასატარებლად ხობის რაიონში 18 აგვისტოს. დიდ დაბრკოლებას აძლევს რწმუნებულებს ის, რომ ერთი სოფლიდან მეორემდე რევკომები გადასაზიდ საშუალებას ვერ აძლევენ. და ხშირად ფეხით უხდებათ ხოლმე სიარული.

ხობის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ბუკია.

—

ძიმითი (გურია).

7 აგვისტოს ძიმითში (ოზ. მაზრა) შედგა ძიმითის და ასანის კომორგანიზაციების საერთო კრება. კრება გახსნა ამხ. ილ. კილაძემ. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სამუელ ყურუშაძე, მდივნად ი. კილაძე. დღის წესრიგში შედიოდა: 1) რაიონული ცენტრის დაარსება და 2) რაიონული კომიტეტის არჩევა.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის წევრმა—ბესარიონ რუსიძემ, რომელმაც გააცნო ამხანაგებს კრების დღევანდელი დანიშნულება და აგრეთვე რაიონული ცენტრის დაარსების მნიშვნელობაც.

შემდეგ ილაპარაკა ცენტრის დაარსების შესახებ ილია კილაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ცენტრის დაარსებას იქ, სადაც ჩვენი ძალები საკმაოთ მოიპოვებიან. მოაგონა აგრეთვე ამხანაგებს სოფელ აკეთის ისტორია სადაც ამ ორი თვის წინად დაარსდა რაიონი და ადგილობრივი ძალების უუნარობის და რაიონის ტერიტორიალურად სიდიდის გამო ორგანიზაციული საქმე ძლიერ შეფერხდა. კრებამ იმსჯელა ამ საკითხზე და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ხმის უმრავლესობით რაიონად დამტკიცდა ძიმითი.

რაიკომში არჩეულ იქნენ: 1) სერგი ჩხაიძე, 2) სამუელ ყურუშაძე, 3) ილია კილაძე, 4) მამია კილაძე 5) პართენ გოგუაძე. კანდიდატებათ: გიორგი ლომაძე და მირიან ხინთიბიძე.

დასასრულ ძიმითის რაიონის პირველი ლეგალური ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას და საქ. კომპარტიის ბელადებს: მიშა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძეს. გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას და მის შვილებს ახალ სოციალისტურ რესპუბლიკებს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ წითელ არმიას, რომელიც მხსნელია ყველა ქვეყნის ჩაგრულებისა!

გაუმარჯოს სოციალისტური რევოლუციის შტაბს მე-3 მე კომინტერნს!

ი. კილაძე.

წარმოებითი პროფკავშირებში

ქ. ოზურგეთი

1921 წელს 15 აგვისტოს შედგა ოზურგეთის კომ. მეურნეობის თანამშრომელთა კრება. კრებას დაესწრო უმრავლესობა თანამშრომლებისა, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხანაგი ნოე ქურიძე, მდივნად ამხანაგი ვალ. ცისკარიძე.

დღის წესრიგი:

1. მოსამსახურეთა კავშირის დაარსება და სექციის არჩევა.
2. ვოლგას მხარის დამშეულთათვის დახმარება.
3. დელეგატის არჩევა მომავალ ყრილობაზე გასაგზავნად.
4. სარევიზიო კომისიის არჩევა.
5. სატარიფო კომისიის არჩევა.
6. შრომის დაცვის კომისიის არჩევა.
7. საკანმანათლებლო კომისიის არჩევა.

მოსამსახურეთა კავშირის დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ქურიძემ, რომელმაც გააშუქა საკითხი და განმარტა ვრცელად თუ რა მოვალეობა აწევს ახლად არჩეულ კომისიას და ეხლა დაარსებულ მოსამსახურეთა კავშირს. სექციაში არჩეული იქნენ: 1. დათიკო დოლიძე, 2. ნოე ცინცაძე, 3. ივანე ღლონტი. კანდიდატებად: ევგენი ებრალიძე და ისიდორე ხურცია. ეს აღნიშნული წევრები კრების მიერ ერთხმად იქნენ მიღებული.

2. ვოლგას მხარის დამშეულთა დახმარების შესახებ კრებამ ადგინა: იქმნას გადადებული ხუთი დღის ჯამაგირი და ამოდენა დღის ულუფა.

3. სარევიზიო კომისიაში კრებამ ერთხმად აირჩია: 1. გრიგოლ მგალობლიშვილი 2. დავით დოლიძე, 3. ვარლამ თელია. სატარიფო კომისიაში იქმნა არჩეული: 1, ვლადიმერ ცისკარიძე, 2. მელიტონ ვასაძე, შრომის დაცვის კომისიაში. შემდეგი პირები: 1. მოსე ბაბილიძე, 2. ისიდორე [illegible], 3. ნოე ცინცაძე, კანდიდატად მელიტონ ღლონტი.

6. რესპუბლიკების ყველა ქალაქების კომუნალური მეურნეობის ყრილობაზე გასაგზავნად, ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. ბებურ სიმონიშვილი.

8 მსაჯულად ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგი ბებურ სიმონიშვილი.

გი-ლუა.

—

კვებავთა და ქიმიკოსთა კავშირში

კვებავთა და ქიმიკოსთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს კრებაზე აირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. გურული და მდივნათ ამხ. შარიკიანი.

კავშირების დახლოების საკითხის შესახებ დაადგინეს: ამ სექტემბერს მოწვეულ უნდა იქნეს ქიმიკოსთა და კვებავთა კავშირის ყრილობა და აირჩიონ თავიანთი პრეზიდიუმი და პირველ საკითხად დაისვას ცენტრალურ გამგეობის ანგარიში, რის შემდეგაც ცალცალკე განიხილონ თავიანთ კრებებზე შეერთების საკითხი. მეორე დღეს ორივე ყრილობა ერთდება, ირჩევენ ერთ პრეზიდიუმს, იმუშავებენ კრების ერთ წესრიგს, გამოაქვთ საერთო გადაწყვეტილება ყველა საკითხების შესახებ და ირჩევენ ცენტრალურ კომიტეტს.

შეერთებულ ყრილობის დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) პროფკავშირების მიზანი და მათი მონაწილეობა წარმოებაში, 4) ყრილობის საორგანიზაციო საკითხი, 5) სატარიფო საკითხი, 6) ს. მ. ე. ს. ქიმიურ განყოფილების მოხსენება, 7) პურის საცხობ განყოფილების მოხსენება, 8) პროფკავშირები, კოოპერაცია და მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება, 9) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და პროფტექნიკური განათლება, 10) ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები და რ. კ., 11) სხვადასხვა.

პირველ საკითხის შესახებ ევალება გამოვიდეს ტ. კ. წარმომადგენელს, მე 3 საკითხს—ვირაპს, მე 4 საკითხს—ამხ. შარიკიანს, მე 5 საკითხის—ამხ. ჯულელს, მე 6 საკით.—ამხ. ქართველიშვილს, მე 7 საკ.—ამხ. აკიმოვს, მე 8 ს—ამხ. ერქომაიშვილს, მე 9 ს—ამხ. სეროპიანს.

ყრილობის ადგილად დაინიშნოს ქალაქის ყოფილ გამგეობის სხდომის დარბაზი.

—

კვებავთა კავშირში

კვებავთა პროფკავშირმა გაუგზავნა ბაქოს კვებავთა პროფკავშირებს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: საქართველოს საკვებ მრეწველობის მუშათა საქალაქო კონფერენცია გიგზავნის [illegible] და ძმურ სალამს თავის [illegible] აზერბეიჯანისას და იმედს მოსთქვამს, რომ აზერბეიჯანის საკვებ მრეწველობის პროლეტარიატი თავის თავგანწირულ მუშაობით შრომის ფრონტზე შეძლებს გაუსწორდეს ქვეყნის სამეურნეო ნგრევას და ამით დაუმტკიცებს მტრებს და მუშათა კლასის გამცემლებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა ნებისყოფა შეუდრეკელია ყოველგვარ შევიწროებების წინაშე რევოლუციის გამარჯვების და მშრომელ მასსათა განთავისუფლების საქმისთვის.

გაუმარჯოს ბაქოს კვების მრეწველობის პროლეტარიატს.

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრაში.

საბჭოთა მთავრობის დაარსების შემდეგ ზუგდიდის მაზრის მშრომელმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, რადგანაც მან თავი დააღწია ყოველივე იმ სისაძაგლეს, რასაც ქონდა აქ ადგილი მენშევიკების თარეშის დროს. ძირიანად აღმოიფხვრა ქურდბაცაცობა, ქრთამობა, ნათლიმამობა და სხვა ასეთები. საბჭოთა მთავრობამ ასეთი მოქმედების საწინააღმდეგოდ გადადგა თამამი და სწორი ნაბიჯები: ქურდ ყაჩაღებმა, მიჩვეულებმა ერთგვარ დახმარებას და თანაგრძნობას მენშევიკების მთავრობის მხრივ, თანაგრძნობის მაგიერად მიიღეს პირველ შემთხვევაში გაფრთხილება ხოლო განმეორების დროს სასჯელი. და ამით მიეცა მშრომელ ხალხს საშუალება მშვიდობიანი ცხოვრებისა. მშრომელთა ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, ისინი ერთხმად გაიძახოდენ, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც სპობს ყაჩაღობას და იცავს მუშების და გლეხების ინტერესებსო. ძველი ცნობილი ყაჩაღები ზუგდიდის მაზრისა უკვე დაილეწენ, მხოლოდ ჯეროვანი ყურადღება არაა ჯერ კიდევ მიქცეული პროვოკატორებზე, თუმცა მათ დაკარგეს ყოველგვარი ნდობა, გლეხობამ უკვე უკუ აგდო ისინი, გადაჭრით მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას და კომუნისტურ პარტიას. ამ პროვოკაციაში მეტის მეტად თავი ისახელა—ეროვნულ დემოკრატების ადგილობრივ ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრებმა, რომელნიც ეწევიან არა ლეგალურ მუშაობას არსებული რეჟიმის დასახმობად.—ნაციონალ დემოკრატებს მენშევიკებიც აძლევენ ბანს და ამგვარად შედგა ერთგვარი ტრიო—ნაციონალ დემოკრატები, ყაჩაღები და ზოგიერთი მენშევიკები.

იბადება საკითხი—რას აკეთებს ზემოხსენებული „ტრიო“. ცარცვავს მშრომელ ხალხს ღამით, დღისით კი ამავე მშრომელ ხალხს ეფიცება—ერთგულებას; მაგრამ გვიან არის—მშრომელ ხალხმა იცის მათი ფიცი და მათთვის ფოლადივით მუჯლუგუნი მზად აქვს: მუშა და გლეხმა გაწმინდა რუსეთი ასეთი პროვოკატორებისაგან და საქართველოს მუშა გლეხობიც არ ჩამორჩება მათ. მხოლოდ საჭიროა მთავრობის ადგილობრივი ორგანონი წინ გაუძღვეს მშრომელთა ხალხს, რათა იმ ყაჩაღებს მოაყოლოს ეს პროვოკატორებიც.

ეს უნდა მოხდეს ზუგდიდის მაზრაში დაჩქარებით, ამას ითხოვს ინტერესი მშრომელი ხალხის. მთავრობამ უნდა განახორციელოს მშრომელი ხალხის სურვილი.

საჭიროა მას მიჰყვეს აგრეთვე ის სპეკულიანტები, რომელნიც ვერ გაძღენ მშრომელი ხალხის ღლეტით და შეუბრალებლად მათი სისხლს დღესაც სწოვენ. სულგრძელია და მასთან მკაცრი მუშათა და გლეხთა მთავრობა და ამ სულგრძელობას ვინც ცუდად მოახმარს ის თავის „საჩუქარს“ მიიღებს. გაუმარჯოს მშრომელთ კავშირს, რომელიც სამუდამოდ გაანადგურებს მტერთა ხროვას, ყაჩაღებთან მოკავშირეებს და მშრომელი ხალხის მძარცველებს. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და კომუნისტურ პარტიას, ძირს პროვოკატორები და ყაჩაღების მოკავშირენი ეროვნულ დემოკრატები და მენშევიკები.

აკნე.

—

ქ. სურამი.

მრავალფეროვან ქალაქ სურამის დაწესებულებათა საქმიანობაში—ერთმა თავის დაუღალავ, მუყაით და განუწყვეტელ შრომით მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ეს გახლავთ პოლიტ-განათლება, რომელიც მსურს მკითხველს გავაცნო. ამ პოლიტ განათლების სათავეში დგას (სამთა) კოლეგია: ამხ. სტ. აკოფოვი, ხორ. ოლანეზოვი და დ. სულიაშვილი. სამთავე ამ მხრივ სავსე არიან ენერგიით, უნარით და საკმარისი ცოდნით. მათ მუშაობას და მეცადინეობას, მინდობილ საქმის წარმატებისათვის საზღვარი არ აქვს; მათ ყოველთვის თითქმის ყველგან ქალაქ სურამში ნახავთ თავის საქმის მეცადინეობაზე.

ამხ. ოლანეზოვმა მიუხედავათ არა ხანგრძლივი მეცადინეობისა შესძლო შეეძინა და დაერაზმებინა მუდმივი ორკესტრი, რომელიც ეხლა უკრავს თეატრში და სხვაგან საჭიროებისამებრ.

ამხ. სულიაშვილმა—კიდევ მაისიდან შეადგინა თეატრში მოთამაშეთა დასი, მოიწვია პროფესიონალური მოთამაშენი: ამხ. კ. მურვანიშვილი, ნ აკოფოვი, შიო ორჯონიკიძე და მომღერალი რუზი მალალაშვილი და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ძალების შევსებით შექმნა სრულიად დამაკმაყოფილებელი და კარგ მოთამაშეთა დასი. სასიამოვნო და სასიხარულოა ის მოვლენა, რომ ამ მოთამაშეთა დასს შეხვდა რეჟისორად სწორეთ ამ თანამდებობისათვის შესაფერისი და მაცადინე ამხ. კ. მურვანიშვილი. იმის წყალობითაა, რომ ყოველი წარმოდგენა მშვენიერად ტარდება, ბლომად ხალხი ესწრება და კმაყოფილი რჩება; ყველა მოთამაშეთ ეტყობა წინასწარი საკმარისი წვრთნა და მომზადება. წარმოდგენები იმართება საზაფხულო თეატრში სისტემატიურად კვირაში სამჯერ. შესვლა მუშა-მოსამსახურეებისათვის უფასოა, მოქალაქეთათვის მცირე ფასით. ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრება, ვინაიდან კარგ მოთამაშეთა თამაშობით ის დაინტერესებულია.

უსურვებ მათ ყველა მოღვაწეებს წარმატებით მუშაობას ქალაქ სურამის ასაყვავებლად და მშრომელ მუშა ხალხის გასანათლებლად.

ქ.

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

ქ. ფოთი

23 აგვისტოს პროფკავშირების საბჭოს დარბაზში გაიხსნა საბჭოთა მოსამსახურეების ადგილობრივ კომიტეტის დელეგატების კრება, კრებას ხსნის კავშირის გამგეობის წევრი ამხ. ფირცხალავა. 16 დელეგატების თანადასწრებით, მათ შორის 4 უპარტიოა. დღის წესრიგი: ვოლგის დამშეულ პროლეტარიატის დახმარება.

ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფირცხალავა, მან ვრცლად გააცნო კონფერენციას ვოლგის ნაპირების მცხოვრებთა შიმშილობით გამოწვეული მდგომარეობა და მოუწოდა დაჩქარებით დახმარებისაკენ. კონფერენციამ აღფრთოვანებით გაიზიარა ეს აზრი და დაადგინა:

მოიწვიონ ადკომებმა ადგილობრივათ მოსამსახურეთა საერთო კრება, გააცნონ მათ რუსეთის მდგომარეობა და შეძლებისა დაგვარად აღმოუჩინონ მათ რაიმე დახმარება. სასურველია ამ ახლო მომავალში მოკრებილ იქმნას თითო მოსამსახურის მიერ არანაკლები ათი დღის ულუფა და ნახევარი თვის ჯამაგირი და, შემდეგ [illegible] ყოველმა მოსამსახურემ იმუშაოს ერთი კვირა დღეს რამოდენიმე საათი კავშირის გამგეობის მითითებით იმ ხელფასით, რომელიც აქვს პარტკომს და ამ მუშაობის ხელფასი მიაწოდინოს დამშეულ ამხანაგებს. აგრეთვე კონფერენცია მოუწოდებს ვოლგის დამშეულ ამხანაგებს, რათა შეგნებულად შეხვდნენ არსებულ მდგომარეობას. გამაგრდნენ ისე, როგორც თავის გამოცდილებით იყვნენ დღემდე გამაგრებული იმ წითელ დროშის ასამაღლებლად, რომელიც მათი სისხლითაა შეღებილი. აგრეთვე კონფერენცია იმედს გამოთქვამს, რომ დამშეულთ არ დაივიწყებს მათი მოძმე სხვა ქვეყნების პროლეტარიატი და თავიანთი წვლილის მიწოდებით შეუმსუბუქებენ დამშეულ ამხანაგებს საშინელ მდგომარეობას.

იასონ ფირცხალავა.

—

ძიგური

აბაშასთან დაშორებული, ახალ სენაკიდან 4—5 ვერსით მდებარე ძიგურში დაარსდა ახალი მატარებლის შესაჩერებელი ბაქანი, რომელსაც მგზავრები ყოველთვის საკმარისი ჰყავს როგორც პლატფორმის ჩრდილოეთით მდებარე მრავალი სოფლებიდან ისე მის გარშემო მყოფი სოფლებიდან: წყემი, გეჯეთი, ნოქალაქევი, შენატროდენ ამ პლატფორმის გახსნას და ეხლა აი კიდევაც შეუსრულდათ. მხოლოდ ერთი ის არის დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ ახალ გახსნილია და ზოგიერთმა მგზავრებმა არ იცის თუ რამდენი ევალება გადასახადათ. პლატფორმის უფროსი არ უხსენებს მგზავრებს ამას, ხოლო უბილეთოდ, უკონტრომარკოდ მგზავრები ჩასჯდომას ვერ ბედავენ.

აი, ამ ანორმალურ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ისგანაც ჯერ არს.

ათროშა.

—

ზემოხეთის თემი (გურია)

აქაურ მოწინავე ამხანაგების მიზანი იყო მართვა გამგეობის დღიდან ხელში აღებისა ცოცხალი საქმიანობით დაემტკიცებინა მშრომელი ხალხისთვის, რომ კომუნისტები არიან ერთადერთი მათი მხსნელი, მათი ინტერესების დამცველი პარტია. და ეს შემოქმედების პროცესში მათ ბრწყინვალეთ შეასრულეს მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებებისა ძნელი სავალი გზებისა.

ბ-მა მენშევიკებმა მხოლოდ მარტო კოოპერატივის ცარიელი შენობა დაგვიტოვა, ხოლო კომუნისტების წიაღში შობილმა ჩვენმა რევკომმა მისცა ხსენებულ კოოპერატივს გამგეობას საჭირო ნოქრები, მიუთითა საქონლის შესაძენ ადგილებზე და ასე მიჟუტული კოოპერატივის წარმოება გამოაცოცხლა, მისი საქმეები მოაგვარა.

ზემოხეთში მენშევიკების დროს მხოლოდ ერთი სამკითხველო იყო, ხოლო ეხლა კი თითქმის ყველა იაჩეიკებში არის იგი მოწყობილი. სკოლების საქმეც ძლიერ. კარგათ არის დაყენებული. მაგალითად თხილაგნის იაჩეიკაში იყო პატარა შენობა, სადაც მოწაფეები ვერ თავსდებოდა სიმრავლის გამო მიუხედავათ არსებულ საშინელ კრიზისისა და გაჭირვებისა ყოველმხრივ, თავის მუყაითობით რევკომმა მაინც შესძლო შექმნა კიდევ შესაფერი შენობა და ამით სწავლის მოსურნე ბავშვები არ დამცდარიყვნენ და სხვა. ასე რომ წელს სწავლა სკოლებში ნორმალურად სწარმოებს, რისაც ხალხი სრული იმედით შეჰყურებს.

თანახმად დეკრეტისა აქ არჩეულ იქნა მიწის კომიტეტი, რომელმაც აღრიცხა საეკლესიო და სახელმწიფო მიწები, შემდეგ გადასცა იგი ქვრივობლებს და დაუთესა კიდეც. აგრეთვე გახსნა საფერშლო პუნქტი, სადაც მოწვეულია აქ თანაშემწე ამხ. ნ. სხვიტარიძე, რომელმაც პუნქტის გახსნამდე დაიარა პარტიული ამხანაგების ოჯახების და მოწაფეების უფასოთ გასინჯვა. თუმცა სათანადო ყურადღება არ გვაქვს ცენტრიდან მოქცეული, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს შემდეგისთვის გასწორდება. უკვე ხუთი თვეა რაც პარტიული სამხედრო ვარჯიშობა სწარმოებს. ჩვენი მოწინააღმდეგეები პირველათ დაცინვით გვეპყრობოდენ, მაგრამ ეხლა ხედავენ, რომ ვარჯიშობამ ფართო ხასიათი მიიღო, ყველანი სიამოვნებით ეწერებიან.

სამხედრო მოვარჯიშეთა შორის ნახავთ ბევრ პატარა წვერიანებსაც, რომელთა მეტყველ სახეებზე რაღაც უჩვეულო კმაყოფილებას ჰკითხულობ.

ოთხი თვეა, რაც შაბათობა იმართება და ბევრით არის გამოქვეყნებული. [illegible] ის, რომ პირველად უნდა [illegible] ბევრმა გულგრილობა გამოიჩინა მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როდესაც დაინახეს დამაკმაყოფილებელი შედეგი, და დარწმუნდენ იმაში, რომ ორი საათის მუშაობას დიდი სარგებლობის მოტანა შესძლებია, რომ მან აგვაცილა ზედმეტი ხარჯები თავიდან, ერთსულოვანათ გამოდიან სამუშაოთ. შეაკეთეს სასწავლებლის, სამკითხველოს და რევკომის შენობები. რომლის ახლოს მდებარე გორი გადავთხარეთ და ვფიქრობთ საფერშლო პუნქტის და თეატრის შენობის აგებას. გაასწორეს და გააფართოვეს სასოფლო გზები. გააკეთეს ხიდები. ასე რომ ადგილობრივი მთავრობის ასეთმა ენერგიულმა მუშაობამ ხალხში დიდი კმაყოფილება გამოიწვია, რაც ჩვენ, სოფლის მუშა კომუნისტებმა სიხარულით უნდა აღვნიშნოთ.

დ. ნიკოლაიშვილი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქ. კომპარტიის თ. ს. მ. კომიტეტი მწუხარებით აუწყებს პარტიის ყველა წევრებს თ. ს. კ. წევრი და ამავე მაზრის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგ

ილიკო მგელაძის

უდროოთ გარდაცვალებას

მწუხარებით გულ მოკლულნი: მეუღლე ნინა გიორგის ასული მგელაძე, შვილებითურთ ათიკო, და ლიზათი, ძმა ანტონი მგელაძე აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელი და დაუვიწყარი

ილიკოს

გარდაცვალებას, დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

პროფესიონალური

სატარიფო-ნორმწესრიგებელი განყოფილება განათლების და სოციალისტურ მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიურო

აცხადებს, რომ 9 სექტემბერს, ჭავჭავაძის ქუჩაზე № 9 მე 2 დავითის სახელ. ქალაქის სკოლაში შესდგება საერთო კრება ნორმისა და შრომის კითხვების შემუშავებას შესახებ 5 საათზე სახალხო სახლებისა და კლუბის თანამშრომლებისა, 6 საათზე საბავშვო სახლების, საბავშვო მოედნების თანამშრომლების ახალშენებისა და ყველა წარმომადგენლებისა, რომლებიც მუშაობენ პროფკავშირების კულტურ. განყოფილებაში, სახალხო განათლების კომისარიატში და ყველა ინსტრუქტორებისა, რომლებიც მუშაობენ ზემოხსენებულ დაწესებულებაში.

სხვა და სხვა

პროლეტ. კულტურის ცენტრი

დღეს საღ. 8 საათზე „პროლეტარიატის კულტურ. ცენტრში“ (ც. ქ. შენობაში—მიხაილოვის ქ. № 123.—მოხსენებას გააკეთებს ამხ. პოლონსკი შემდეგ თემაზე: „რა არის ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატის ხელოვნება“ დასწრება შეუძლიათ კულტ. იაჩეიკების წევრებს.

ტირაჟი 10.000